

- №1.a** მრავალჯამიერი ტაძარი
- №1** მრავალჯამიერი
- №2** აშო ჩელა
- №3** შავლეგო
- №4** წინ წყარო
- №5** მირანგულა
- №6** ვაიორქომა
- №7** ჭრელ ბაღდადზე
- №8** ქარქუჩი
- №9** მოდი აქ დაჯექ ქალო
- №10** თბილისის საღამო
- №11** იმერული მგზავრული
- №12** თუ ასე ტურფა იყავი
- №13** არაგვისპირული
- №14** ვარდს გაეფურჩქნა კოკორი
- №15** გაფრინდი შავო მერცხალო
- №16** ვენახი
- №17** ჩემო კარგო ქვეყანავ
- №18** დიდა ვოი ნანა
- №19** მთიელის სიმღერა
- №20** ჩემო ციციხათელა
- №21** სულიკო
- №22** ბატონებო
- №23** სალაღობო დაუკარით
- №24** შაირები ფანდური
- №25** მოხევის ქალო თინაო
- №26** განდაგანა
- №27** შენ ბიჭო ანაგურელო
- №28** თუშური სატრფიალო
- №29** შატილის ასულო
- №30** ზოგი იგეთი ქალია

- №31** გარეკახური
- №32** ცირა
- №33** ქართველო ხელი ხმაღს იკარ
- №34** ჭირიმე
- №35** მთასვლელის სიმღერა
- №36** პატარა კახი
- №37** ისარი
- №38** პატარძლის ისტორია
- №39** თუშეთი
- №40** ნათელას სიმღერა
- №41** ვისია ქალი ლამაზი
- №42** ნანა
- №43** გურული ცხენოსნური
- №44** გურული მგზავრული
- №45** სატრფიალო ხობბის ყელივით
- №46** ბროლის ყელსა მოგეხვიე
- №47** ცელო მოუსვი ბალახსა
- №48** მივალ გურიაში
- №49** ოროველა
- №50** წმინდაო ღმერთო
- №51** მიყვარხარ მაგ ღიმილს მოგტაცებ
- №52** შაირები მინდორში
- №53** ქალო ნარინჯიანო
- №54** შემოდგომა რომ დადგება
- №55** იმერული ცხენოსნური
- №56** ლალე
- №57** აბა ულა
- №58** მჭედელის სიმღერა
- №59** ლეჩხუმური მაცრული
- №60** აყვავებულა არაგვზე დეკა
- №61** ნუ გიკვირს ქალაუ

- №62** რაშოვდა
- №63** გოგოვ გოგოვ შავთვალა
- №64** ანანურიდან
- №65** კირიალესა
- №66** ალილო
- №67** დილაო ავდრიანაო
- №68** ბინდისფერია სოფელი
- №69** გულის ტრფიალი
- №70** ვაჟკაცო მთაში გაბრდილო
- №71** შირაქის ველზე
- №72** მზე შინა და მზე გარეთა

№1.a მრავალჯამიერ

მრავალჯამიერ
ღმერთმა ინებოს
თქვენი სიცოცხლე
მრავალსა წელსა
მრავალჯამიერ

№2 აშო ჩელა

SI

აშო ჩელა იშო ბუსკა
ოუ ნანა ნანაია ნანინა

სიმონობას გეგაფილი
ოუ ნანა ნანაია ნანინა

ო ო ო ო ოუ ნანა ნანა
ოუ ნანა ნანაია ნანინა (2)

სი უ ჩონჩხე სი უ გურე
ოუ ნანა სკანი ცოდვა ნანინა

სი კისერი ელაფირი
ოუ ნანა სკანი ცოდვა ნანინა

ო ო ო ო ოუ ნანა ნანა
ოუ ნანა ნანაია ნანინა (2)

№3 შავლეგო

შავლეგ შენი შავი ჩოხა შავლეგო
სისხლში გაგიხამებია შავლეგო
ყანიმები გიხდებოდა შავლეგო
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა შავლეგო
მაშველი არ გჭირდებოდა შავლეგო
შავლეგ შენი შავი ჩოხა შავლეგო

№4 წინ წყარო

წინ წყარო ჩამოვიარე წინ წყარო
ბიჭოდა წინ წყარო ჩამოვიარე

წინ შემხვდა ქალი ლამაზი წინ შემხვდა
ბიჭოდა კოკა რომ ედგა მხარზედა

სიტყვა უთხარ და იწყინა სიტყვა უთხარი
ბიჭოდა განრისხდა გადგა განზედა

წინ წყარო ჩამოვიარე წინ წყარო
ბიჭოდა წინ წყარო ჩამოვიარე

№5 მირანგულა

ოო ოი ო
დედებუ დედებ
მირანგულა ო
დედებუ იბგვამ
სიგარხორდა ო
დედებ დედებ
მირანგულა
დედებ ოი დედებ
დედებ იბგვამ
სიგარხორდა
დედებ ოი დედებ
ოო ოი ო

№6 ვაიორქომა

ვაიორქომა ვამომწონქომა
მუჭგირირეჟ სკვამი ცირა
სკანი ჭირიმა
მის:

2–ჯერ

უსკანეთმა ვადმარინემა
გოლვაფირო გულიშ ვარდი
სკანი ჭირიმა

2–ჯერ

უსკანეთმა ქეშემცოდემა
ვეშემლებე თაშირინა
სკანი ჭირიმა
მის:

2–ჯერ

უსკანეთმა ვადმარინემა
გოლვაფირო მახარია
სკანი ჭირიმა

2–ჯერ

უსკანეთმა მუფქიმინამა
მასიმორქ მახარია
სკანი ჭირიმა
მის:

2–ჯერ

უსკანეთმა ვადმარინემა
გოლვაფირო გულიშ ვარდი
სკანი ჭირიმა

2–ჯერ

№7 ჭრელ ბაღდადზე

ჭრელ ბაღდადზე გავშლი სუფრას
ბედ დაგიდგამ დოქით ღვინოს
ეგებ შეცდეს შავ თვალება
უნებლიედ მაკოცნინოს

მე ალალი შრომით ვცხოვრობ
რა სჯობია ჩემს მოტანილს
მტკვრის ცოცხალ თევზს მოგიზიდავ
ორთაჭალის ქორფა მწვანილს

2–ჯერ

№8 ქარქუჩი

ქარქუჩი წამოიყვანეს
ქალი ლამაზი თმიანი
შვიდი მაყარი თან მაიჰყვა
შვიდთავე ცხენოსნიანი
არ მაიშალა ლამაზმა
შავი თოლები ბრიალი
წყალად ხიდთან რომ მივიდნენ
დადგა ხანჯლების ტრიალი

ქალმა თქვა ახალგაზრდასა
სიცილით შავეპარები
მავაკვლევინებ სურვილსა
ახლოი არ გავეკარები
ბევრჯერ ვყოფილვარ მაყარში
ბევრსაც ვარ გადანაყარი
ის კიარ გამიგონია
დედოფალს კოცნის მაყარი

პირმა დაგლოცოთ ღვთისამა
ნაწილმა ბარძი მისამა
ალავერდს წმინდა გივარგი
ქალაქში სივანისამა
ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა და გახარებასა
ვაჟების ქორწინებასა და
ქალების გასტუმრებასა ჰე ჰე

№9 მოდი აქ დაჯექ ქალო

მოდი აქ დაჯექ ქალო
შარი შური შარი გოგნი
მაქოშია შექურ მაქო
გოგო შუშანა

კარგად დამიგდე ყური

მაგრად ჩასჭიდე ხელი

სანამა ხარ ყმანვილი

ყველა შენი მოკეთე

შენი ჭვარის წერისა

მოდი აქ დაჯექ ქალო

№ 10 თბილისის საღამო

ჩემი თბილისის საღამო
პატარძალივით ირთვება

ბედის ვარსკვლავი მიღიმის
შენთან შეხვედრას მპირდება **2–ჯერ**

როცა პატარძლის კაბაში
ყელმოღერებულს გნახავო

ჩემი მეჭვარე იქნება
ჩემი თბილისის საღამო **2–ჯერ**

№11 იმერული მგზავრული

არალო ორუდილადელა აბადელია ორუდილა
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

ჩემო მკვლელი ჩემო მსმელი
ჩემო კარის მეზობელი
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი
შენ რომ ცეცხლი მომიკიდე
მიტხარ როგორ გავანელი
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

არალო ორუდილადელა აბადელია ორუდილა
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

ქალო შენი თეთრი კაბა
წყალს მიჰქონდა მდინარესო
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი
ნეტავი გამაგებინა
ვინ გაკოცა მდინარესო
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

არალო ორუდილადელა აბადელია ორუდილა
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

ქალო როგორ გიხდებოდა
ბალკონზე გადმოდგომასო
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი
მოგიტაცებ და წაგიყვან
რომ მოვა შემოდგომასო
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

არალო ორუდილადელა აბადელია ორუდილა
არალო ორუდილა დელია ნანი ნანი

№12 თუ ასე ტურფა იყავი

თუ ასე ტურფა იყავი
რად ვერ გამჩნევდი იაო
იმაღ რომ სიყვარულისთვის
გული არ გიმილიაო **2–ჯერ**

ახლა სხვა მებაღე შემხვდა
აღერსით გამაღვივაო
იმანაც მამიგურგურა
კალთაზე დამარწიაო **2–ჯერ**

იასა უთხარ ტურფასა
მოვა და შეგჭამს ჭიაო
ეგრე მოხდენით ლამაზო
თვალი რომ გაგიღიაო **2–ჯერ**

თუ ასე ტურფა იყავი
რად ვერ გამჩნევდი იაო
იმაღ რომ სიყვარულისთვის
გული არ გიმილიაო **2–ჯერ**

№ 13 არაგვისპირული

ქალებს ჩაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა ჰე
არაგვო უყარაულე
ჰე ჰეჰეიდა

მის:არაგვო უყარაულე

ომში მიმავალ ლაშქარსა ჰე
ჰეჰეიდა

2–ჯერ

თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს რიდეს ჰე
ლამი აჭამე შერცხვენილს
ჰე ჰეჰეიდა

მის:ლამი აჭამე შერცხვენილს

რომ სახლში ვეღარ მივიდეს ჰე
ჰეჰეიდა

2–ჯერ

წინ მივეგებოდ დავძახოთ
მთიელებს გაუმარჯოსო ჰე
ხარობდეს საქართველოი
ჰე ჰეჰეიდა

მის:ხარობდეს საქართველოი

რომ მტერი დაუმარჯოსო ჰე
ჰეჰეიდა

2–ჯერ

№14 ვარდს გაეფურჩენა კოკორი

ვარდს გაეფურჩენა კოკორი
გადახვეოდა იასა
მამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა **2–ჯერ**

ტოროლა მალლა ღრუბლებში
წკრიალ–წკრიალით გალობდა
ბულბულიც გახარებული
ნაზი ხმით ამას ამბობდა **2–ჯერ**

აყვავდი ტურფავ ქვეყანავ
ილხინე ივერთ მხარეო
და შენც ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო **2–ჯერ**

№15 გაფრინდი შავო მერცხალო

გაფრინდი შავო მერცხალო
გაჰყევ ალაზნის პირსაო დელაო

ამბავი ჩამოგვიტანე
ომში წასული ძმისაო დელაო

ომში წასვლა მას უხარის
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო დელაო

დაბრუნება და შინ მოსვლა
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო დელაო

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი დელაო

№16 ვენახი

შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული

ნორჩი კეთილი ედემს შინა ნერგული

დათა ვით თვისით მზე ხარ და გაბრწყინებული

№ 17 ჩემო კარგო ქვეყანავ

ჩემო კარგო ქვეყანავ
რაბედ მოგიწყენია
ანმყო თუ არა გწყალობს
მომავალი შენია

თუმცა ძველნი დაგშორდნენ
ახალი ხომ შენია
მათ ახლად აღგიდგინონ
შენ დიდების დღენია

ჩემო კარგო ქვეყანა
რაბედ მოგიწყენია
ანმყო თუ არა გწყალობს
მომავალი შენია

2–ჯერ

№18 ჩონგური

ასე ჩონგური ელოფთქუათი ნა
სკანდო ჩქიმი გაჭირება და

ოუ ნანა დიდავოი ნანა
დიდავოი ნანიანა

2–ჯერ

ჩონგურ სიძე შეგილუებუ ნა
ვეგადვინე განჩინება და

ოუ ნანა დიდავოი ნანა
დიდავოი ნანიანა

2–ჯერ

უბედური ჩქიმი ღურსუ ნა
იმფერ ჭკუა ჩქიმიდა ღურსუ და

ოუ ნანა დიდავოი ნანა
დიდავოი ნანიანა

2–ჯერ

№ 19 მთიელის სიმღერა

ხმალი მომეც და ხანჯალი ეჰეე
აბჯარიც თუნდაც ხისაო
მტერს უნდა გული გავუბო
წერა გავხადო ხმლისაო
ეჰე ეჰე ჰე

2–ჯერ

სამშობლოს არვის წავართმევთ ეჰეე
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება
თორემ ისეთ დღეს დავაყრით
მკვდარსაც კი გაეცინება
ეჰე ეჰე ჰე

2–ჯერ

ჩემი სამშობლოს მთა–ველო ეჰეე
შავად ნუ დაიბინდები
მთიელ ვარ მთაში გავზრდილვარ
მტერო არ შაგიბინდები
ეჰე ეჰე ჰე

2–ჯერ

№ 20 ჩემო ციციხათელა

ჩემო ციციხათელა
დაფრინავ ნელა ნელა
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა

2–ჯერ

ანათებ და კარგი ხარ
მაგრამ მე რას მარგიხარ
ჩემი იყო ის მინდა
შენ კი სხვისკენ გარბიხარ

2–ჯერ

ჩემო ციციხათელა
საით ფრენ ნელა ნელა
მე ვარ შენი ერთგული
სხვა მოგატყუებს ყველა

2–ჯერ

№ 21 სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო
გულამოსკვნილი ვტიროდი
სადა ხარ ჩემო სულიკო **2–ჯერ**

ეკალში ვარდი შევნიშნე
ობლად რომ ამოსულიყო
გულის ფანცქალით ვკითხავდი
შენ ხომ არა ხარ სულიკო **2–ჯერ**

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო
მივეხმატკბილვ ჩიტუნას
შენ ხომ არა ხარ სულიკო **2–ჯერ**

შეიფრთხილა მგოსანმა
ყვავილს ნისკარტი შეახო
ჩაიკვნეს ჩაიჭიკჭიკა
თითქოს თქვა დიახ დიახო **2–ჯერ**

№22 ბატონებო

ბატონებო მოუოხეთ
მოუოხეთ ბატონებო **2–ჯერ**

მის:
ლამაზი ბატონებია
ია და ვარდი ფენია **2–ჯერ**

თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი
მორბის თიკანმა იხტუნა **2–ჯერ**

მის:
გაუხარდათ ბატონებსაც
და უმაღლ პირი იბრუნა **2–ჯერ**

ბატონებო მოუოხეთ
მოუოხეთ ბატონებო **2–ჯერ**

№ 23 სალაღობო დაუკარით

დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს
გაიხარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს
გაუმარჯოს საქართველოს მშეს და ზეცას
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს

დაუკარით

ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ
ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია

დაუკარით და იმღერეთ ჩადიანი
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი
დაუკარით ძველებური დარდიანი
დაუკარით არწივების ასაფრენი

დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს
დაუკარით რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ
დაგვაბეროს

№ 24 შაირები ფანდურზე

ხმა ამაილე ფანდურო
ამომავალი მზისთვინა
შაირი მინდა წარმოვსთქვა
პირიმზე ლამაზისთვინა
ვის რად ჭირდება ნეტაი
ე მაგ ფანდურის ჭღრიალი
კლდე–ჭიხვებში ჭიხვებსა
დაათრთხობს შენი ღრიალი
თვალი მიჭირავს შენზედა
როგორც მიმინოს მწყერზედა
ნეტაი გამაგებინა
შენ რა გული გაქვს ჩემზედა
ამ მკერდში ორი გული დევს
ერთში წვიმს ერთში დარია
შენთვისა შევყრი ღრუბლებსა
სხვას გავუღიმებ დარია
ქალავ სულ თვალწინ მიდგებარ
ღვიძილშია და ძილშიაც
დაიმალება ხობობი
ე მაგ თვალ–წარბის ჩრდილშია
ნეტაი რისთვის გაქებდი
რისთვის დავხარჯე ძალაო
ეგეთი ენის პატრონსა
რა გაგათხოვებს ქალაო

№ 25 მოხევის ქალო თინაო

მოხევის ქალო თინაო
ჩვენთან წამოდი შინაო
შენი ტოლები გათხოვდნენ
შენ რას უზიხარ შინაო

ეი გიდი მოხევის ქალო
რა ლამაზი რამა ხარო
მაგ შენი ტურფა ალერსით
ვინ გინდა რომ გაახარო

მოხევის ქალო თინაო
რა ღმერთმა გაგაჩინაო
ნეტაი ერთსა ღამესა
შენთან მქონიყო ბინაო

მოხევის ქალო თინაო
ჩვენთან წამოდი შინაო
შენი საბანი დამხურა
და ტკბილად დამაძინაო

№26 განდაგანა

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
აღვის ხის ჩამონათალი
წყალო დადექ და მიამბე
საყვარლის შემონათვალი
მის:

აიდადიდა დიდაო აიდადიდა დიდაო **2–ჯერ**
გოგოვ გოგოვ კისკისა
აქ ჩამოდი წყლის პირსა
წყალი მასვი კოკითა
გამაძღვევი კოცნითა
მის:

აიდადიდა დიდაო აიდადიდა დიდაო **2–ჯერ**
წუხელი სიბმარში გნახე
წარბი მაღლა აგეხარა
ფანჯარაზე მომდგარიყავ
ნაწნავი გადმოგეყარა
მის:

ჰე ჰე ჰე ჰე ო ნინა რანინა **2–ჯერ**
სათამაშო ვაშლი მქონდა
შენსკენ გადმომივარდაო
მე თუ გძულვარ სხვაი გიყვარს
ფესვიც ამოგივარდაო
მის:

ჰე ჰე ჰე ჰე ო ნინა რანინა და **2–ჯერ**

№27 შენ ბიჭო ანაგურელო

ჰარალალო
შენ ბიჭო ანაგურელო
ანაგურელო
ჰარალალო
შენი ხმა ჩამოდიოდა
ხმა ტკბილი ბიჭო
მის:
ჰარიჰარალალო
ჰარიჰარალალო
ჰარალო

ჰარალალო
შენი თოხისა წკრიალი
წკრიალი ბიჭო
ჰარალალო
წყალს გაღმა გადმოდიოდა
ხმა ტკბილი ბიჭო
მის:
ჰარიჰარალალო
ჰარიჰარალალო
ჰარალო

№28 თუშური სატრფიალო

მთაში სალამურს ვაკვნესებ
რომ ვერა გხედავს თვალები
დავდივარ თვალებს ვაცეცებ
ქალაუ გენაცვალები **2–ჯერ**

წინდებს ვესოვ მამიქსოვნია
ნაირ–ნაირი წინდები
მომწონხარ მაგრამ რაი ვენა
მაინც ვერ დაგეწინდები **2–ჯერ**

ცხვარს რომ გავრეკავ მთაშია
შენ მელანდები თვალსშია
ნეტავი გამაგებინა
რა გიდევს გუნებაშია **2–ჯერ**

ვაჟო ნეტავი შენს მზერას
რა დედამ აგათვალისა
ამოგიქსოვა გულ–მკერდი
დამამშვენები ვაჟისა **2–ჯერ**

№29 შატილის ასულო

შატილის ასულო ლერწამო ტანითა
ტოლებში აგარჩევ ვაჟკაცის ხელითა
შატილის მთებიდან თუშეთში წაგიყვან
კლდეებზე მფრინავი საღარა ცხენითა **2–ჯერ**

ბორბალოს ბილიკზე ამ მკერდით გატარებ
ავდარში დაგიცავ მეცხვარის ნაბდითა
მთის ნამის ნაჟჯრით დაგიბან მაგ თოლებს
შეგმოსავ პირიმზის ნაქარგი კაბითა **2–ჯერ**

თოლები აფრენილ ორბის თვალს მიგიგავს
ეგ შენი თოლები მზის ელვა მგონია
თოლები თოლები დაგიდგეს თოლები
ვგიჟდები რა კარგი თოლები გქონია **2–ჯერ**

თუ გინდა ლამაზო რომ გახდე შენ ჩემი
წყარობე ნუ ჩახვალ მარტოკა ხევსური
მოგიტაც წაგიყვანს მგლის მუხლა ჩერენი
ან ორბის თვალება არხოტის ხევსური **2–ჯერ**

შატილის ასულო ლერწამო ტანითა
ტოლებში აგარჩევ ვაჟკაცის ხელითა
შატილის მთებიდან თუშეთში წაგიყვან
კლდეებზე მფრინავი საღარა ცხენითა **2–ჯერ**

№30 ზოგი იგეთი ქალია

ზოგი იგეთი ქალია
მაგრად მაიხდენს თავსაო
კობტად გაივლის ხალხშია
მაიღერიებს ყელსაო

მისამღერი: რამდარირარი 3–ჯერ
 რამდამდამდარი 3–ჯერ

მთიდან რომ ქმარი მოუვა
ძალად აყვარებს თავსაო
მე ჩემი გამკვირვებია
რად ვერ ვანებებ თავსაო
მისამღერი:

გვერდ მაინც მამიგორდები
შამომეხვევი ყელსაო
ამ ჩემი მოკლე ჭკუითა
ღამე სჯობია დღესაო
მისამღერი:

№31 გარეკახური

არაღაღი არაღაღო

№32 ცირა

ბაღის ვარდი ვარდი ბზირი
ნანა ცირა ქოგალე
წილუა მოკოდუ ვანკმანწილუ
ნანაია ცირა ქოგალე
მის:
ცირა ცირა
ნანაია ცირა ქოგალე

მუშო მათუშალიან ქეში
ნანა ცირა ქოგალე
სკანი ორაფაკ მათუჭოფუ
ნანაია ცირა ქოგალე
მის:
ცირა ცირა
ნანაია ცირა ქოგალე

სივარდისუ ვაუჭგუქდა
ნანა ცირა ქოგალე
თიშენ გოქცვან ვარდიშნერო
ნანაია ცირა ქოგალე
მის:
ცირა ცირა
ნანაია ცირა ქოგალე

№ 33 ქართველო ხელი ხმაღს იკარ

ჰარაღალი ქართველო ხელი ხმაღს იკარ
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი დღე გათენდა დიდებისა
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი თოფ–იარაღი აისხი
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი დრო დადგა გამარჯვებისა
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი მტერსა რომ მტრობას უწევდეს
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი ვაჟკაცის შესაფერია
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი ვისაც მტრის მტრობა აძინებს
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი ქვეყნად ის არაფერია
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი არც მოუხდება აბჯარი
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი არც ომში წასასვლეღია
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი არც ვაჟკაცებში ხსენდების
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო
ჰარაღალი არარად ჩასათვლეღია
ჰარაღალი ჰარი ჰარაღო

№34 ჭირიმე

შენ ჩემი გაბათხული და ჩემი ოცნების წყარო ხარ რა დაგიშავე ასეთი	2-ჯერ
ერთხელ გაკოცე რა მოხდა მის:	2-ჯერ
ჭირიმე შენი ჭირიმე ლამაზო შენთვის ვსტირი მე	2-ჯერ
ყაყარო აყვავებულა ვარდი გაშლილა ია და	2-ჯერ
შენ ჩემი თავი მოგიკვდეს სალამი დამიგვიანე მის:	2-ჯერ
ჭირიმე შენი ჭირიმე ლამაზო შენთვის ვსტირი მე	

№35 მთასვლელის სიმღერა

ეგ სახე მყინვართა სარკეში მინახავს
მაღალ მთებს ქარაფებს აფრქვევდი მინანქარს
ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს
ალი ხარ ქალი ხარ მითხარი ვინა ხარ **2–ჯერ**

არ გეყო ძალით რომ დაიპყარ ეს გული
მერე მთებს მიადექ რისხვით წარბ შეკრული
უფრთხილდი ლამაზო თაკარა გულია
აქ ყველგან ქარიშხლით ქარს გადაუვლია **2–ჯერ**

მე შენი სიმკაცრის ნაპრაღში ვარდები
ძვირფასო საშველად ნუ დაგვიანდები
მე ყველა ნაპრაღზე ეგ მეტად მაშინებს
კვლავ ხელი მომხვიე კვლავ გადამარჩინე **2–ჯერ**

მივდივარ მივყვები ჭიუხვში მთასვლელებს
ხან ქარი მიბერავს ხან წვიმა მასველებს
მე შენმა სურვილმა მთასვლელად მაქცია
წერაქვი მიჭირავს წრიაპი მაცვია **2–ჯერ**

ეგ სახე მყინვართა სარკეში მინახავს
მაღალ მთებს ქარაფებს აფრქვევდი მინანქარს
ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს
ალი ხარ ქალი ხარ მითხარი ვინა ხარ **2–ჯერ**

№ 36 პატარა კახი

ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვია
წყალი უსვამს ალგეთისა
თრიალეთზე უძოვნია **2–ჯერ**

დაკარგულა საჭალეში
მონადირეს უპოვნია
დაკარგულა საჭალეში
მონადირეს უპოვნია **2–ჯერ**

მაშ რამდენ ხანი გასულა
ბევრჯერ უწვიმ უთოვია
ქარის მჭედელს რკინის ძაფით
პერანგი მოუქსოვია **2–ჯერ**

ეს რა ვაჟკაცი დამდგარა
ჩვენი პატარა კახია
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს
დაჰკრა ხელი და დახია **2–ჯერ**

№37 ისარი

შენმა სურვილმა დამლია
შენზე ფიქრმა და სევდამა
შორს წასვლა ხშირად გაკრაბა
გულის თვალებით ხედვამა **2–ჯერ**

ცაბედ მოდიან წერონი
მწკრივად აჭარის ჯარადა
ვერა ხედავ თაივლებო
ცრემლი ჩამამდის ღვარადა **2–ჯერ**

შენ ჩემ გულს ვეღარ მოიგებ
ჩემი სათქმელიც ის არის
გადამაგდე და დამკარგე
როგორც ჩერქებმა ისარი **2–ჯერ**

№ 38 პატარძლის ისტორი

დილიღმე გამათხოვებენ
დილიღმე წამიყვანენა **2–ჯერ**
პატარძლის კაბას გამხდიან
ნეფესთან დამანვენენა
დილიღმე ნეფესთან დამანვენენა

ახალი პატარძალი ვარ
ახლად წავედი წყალბედა **2–ჯერ**
სიბარმაცემ შემანუხა
დამძინებია გზაბედა
დილიღმე დამძინებია გზაბედა

მამამთილს დაუნახივარ
ჯოხი მაკარა თავბედა **2–ჯერ**
კოკაც კი დამვიწყებია
გამოქცეულსა გზაბედა
დილიღმე გამოქცეულსა გზაბედა

წინ დედამთილი შემომხვდა
ახლი მან მაცვა ჭვარბედა **2–ჯერ**
წამოუფრინე დედამთილს
წიხლი ამოვკარ ძალბედა
დილიღმე წიხლი ამოვკარ ძალბედა

ჩემმა ქმარმა შემომხედა
წამტირაღევსა თვალბედა **2–ჯერ**
ახლა იმან დამიმატა
მეხი დაეცეს თავბედა
დილიღმე მეხი დაეცეს თავბედა

სახლში აღარ დამაყენეს
მომიჭახუნეს კარია **2–ჯერ**
ჩემი წოვალება ხდება
ეს ჩემი გარჯა დარია
დილიღმე ეს ჩემი გარჯა დარია

№39 რა ლამაზია თუშეთი

რა ლამაზია თუშეთი
და ლაშარობა თუშური
რქებ დაგრეხილი ჭედილა
სანთლით შუბლ გადატრუსული **2–ჯერ**

ფერდობზე ჩამწკრივებულა
კობტა ქალი და ვაჟია
ხევებში ამალლებულა
შმაგი ალაზნის წყალია **2–ჯერ**

ჯიხვის რქით ცივი ლუდის სმა
ცეცხლზე შიშხინი მწვადისა
გარმონზე აცეკვებული
თითები თუში ქალისა **2–ჯერ**

თვალებს დავხუჭავ კვლავ მოსჩანს
სადლოლე ცხენთა კისრები
და ქორბელელას ფერხულში
მგლის მუხლა მწყემსი ბიჭები
რა ლამაზია თუშეთი
მის სილამაზით ვინვები

№ 40 ნათელას სიმღერა

ჩონგურს სიმები გავუბი
მოვმართე ნელა ნელაო
შევუხმატკბილე ერთმანეთს
ოდელა დელა დელაო **2–ჯერ**

თავთავის ჰანგზე თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო
ერთი მეორის თანხმობით
ოდელა დელა დელაო **2–ჯერ**

ერთი მათგანიც რომ განყდეს
მაშინვე უნდა შველაო
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური
ოდელა დელა დელაო **2–ჯერ**

ჩონგური საქართველოა
სიმები ჩვენ ვართ ყველაო
სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები
ოდელა დელა დელაო **2–ჯერ**

№42 ნანა

სოლო: ნანინა ი ი

ნანას გეტყვი ბატონებო

მის:ნანინა ნანინა ბატონიშვილსაოა
ბატონსა ნანინა ნანინა ბატონო

სოლო: რა ტკბილად ტკბი ი

ნასვიამდი ბატონებო

მის:ნანინა ნანინა ბატონიშვილსაოა
ბატონსა ნანინა ნანინა ბატონო

№ 43 გურული ცხენოსნური

მისამღერი: ადილოი ადილოი
დილაჳოდელაჳდა არალო
ივრიარალო ო **2–ჯერ**

ცხენბე ვბივარ ჩემ შაჳ ცხენბე და
უნაგირბე ამოჳსულჳარ დელო
ივრიარალო რირო რერო

მისამღერი:

ჭიათურას ქუსლი ვკარი და
აჳ თბილისში ჩამოჳსულჳარ დელო
ივრიარალო რირო რერო

მისამღერი:

მიყვარდი ჩემი მეგონე და
ეხლა დამინყე მდურება დელო
ივრიარალო რირო რერო

მისამღერი:

ბევრი დრო და არ გავიდა და
რამ შეგიცვალა გუნება დელო
ივრიარალო რირო რერო

მისამღერი:

№ 44 გურული მგზავრული

ბასი: ჰადილაი ჰადილაი
ვა ჰერუდილა ნანინავოდა
ვა ჰა ჰე ჰე
ორუდილა ვადილა ადილა
ვა ჰა ჰე ჰე ჰა ჰა
ვა ჰა ვა ჰა ჰე ჰე
ჰე ჰავდა ჰე ჰავდა
ვა ჰე ჰავდა

1–2 ხმა: ორუდილა ნანინავო ნანინავდა
ადილაი დივოდელა
ორერავორერა ორერავორერა

ომში წასვლა მას უხარის
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო ჰე
ჰეჰავდა ჰეჰავდა ვაჰეჰავდა

დაბრუნება და შინ მოსვლა
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო ჰე
ჰეჰავდა ჰეჰავდა ვაჰეჰავდა

სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა
სიკვდილი სახელოვანი ჰე
ჰეჰავდა ჰეჰავდა ვაჰეჰავდა

№ 45 სატრფიალო ხობის ყელივით

ხობის ყელივით ლამაზი
ქალი გადმოდგა მთაბედა
ჩემკენ იღიმის მაცდურად
ბინდი გადმეკრა თვალებედა
ნეტავი თუ გყავს ქმარი და
მარტო რად გიშვებს წყალებედა
ჩემი რომ იყო ლამაზო და
არ მოგიცილებ მკლავბედა
შენს თავს არავის დავუთმობ
ვფიცავ ამ ჩემსა მზესაო
შენთვის გავწირავ სიცოცხლეს
შენთვისა შევძრავ მთებსაო
ბევრს არასა გთხოვ ისმინე
ამ ჩემი გულის კვნესაო
ამაღამ ჩემთან გადმოდი და
არაკებს გეტყვი ბევრსაო
ჩაძინებულს რომ გნახვიდე
შვლის ნუკრის თვალებიანო
ქალავ შენს ახლოს ვერ მოვალ
გული არ შაგიფრთხილო
მარტო დაგხედავ მძინარსა
ფრთხილად რომ შაგეხმიანო
იქნებ ჩურჩულით შაგკითხო
რა გესიზმრება ღვთიანო

№46 ბროლის ყელსა მოგეხვიე

ბროლის ყელსა მოგეხვიე ორუდილა
ცრემლით უბე ამო ამოგივსე
აბა მოსახვევათ მოსასურვო ნანინაო
ყელსაბამო მარგალიტო და

უბეში ჩასაკონარო ორუდილა
ჩასაკვნეტო ვით რომ გვრიტო
აბა ნამეტანი სიყვარულით ნანინაო
მეშინია არ ჩამკვნიტო და

ახ სულიკო მარგალიტო ორუდილა
ნეტავ მარად შენთან შენთან ვიყო
აბა შენი ჯავრი გულში ჩამრჩა ნანინაო
რა ვიფიქრო ან რა გიყო და

ბროლის ყელსა მოგეხვიე ორუდილა
ცრემლით უბე ამო ამოგივსე
აბა მოსახვევათ მოსასურვო ნანინაო
ყელსაბამო მარგალიტო და

№47 ცელო მოუსვი ბალახსა

ცელო მოუსვი ბალახსა
გასტერ გამოჰკარ პირია ჰე
სამყურა ულო იონჯა
სათიბად გადაშლილია ჰე

ვაი რა ბედი დავკარგე
შენ გენაცვალეო
გასათხოვარმა ქალმაო
შენ გენაცვალეო

ჩიქილა ქარმა წამართვა
შენ გენაცვალეო
საყურ—ბეჭედი წყალმაო
შენ გენაცვალეო

ქალო ეგ რა შემოგიკრავს
შენ გენაცვალეო
შუბლი დაგიმშვენებია
შენ გენაცვალეო

ჩემი გული შენ მოგიკლავს
შენ გენაცვალეო
სხვისი გაგიხარებია
შენ გენაცვალეო

№ 48 მივალ გურიაში

მივალ გურიაში მარა
სულმა ციმ ციმ გეიპარა
მივდიე და არ დაბრუნდა და
არც მიიღო ქრთამად ფარა და

მისამღერი:

აბა რერო რერო ჰოვ დილა დელა და
აბა დელა ჰოვ დილა ორერა და **2–ჯერ**

ერთი ჩემი საყვარელი
ამ ქვეყანას ვრჩები მარა
ადრიახად გეახლები და
არ დაგტეივ არა არა და

მისამღერი:

აბა რერო რერო ჰოვ დილა დელა და
აბა დელა ჰოვ დილა ორერა და **2–ჯერ**

№ 49 ოროველა

ჰარი ჰარალი ჰარალო
ჰარალი ჰარი ჰარალო
ჰარი ჰარალი ჰარალო
ჰარალი ჰარი ჰარალო და

გადი გამოდი გუთანო
ღირღიტავ ბანი უთხარო
სახნის საკვეთო გაუსვი
რომ კანჩას ძირი უთხარო

შენი ჭირიმე გუთანო
მაგ შენი მრუდე ყელისა
შენა ხარ პურის მომყვანი
დამსვენებელი ქერისა

ჰარი ჰარალი ჰარალო
ჰარალი ჰარი ჰარალო
ჰარალალო ეჰეჰეჰეი
გავედით ბიჭებო ბოლოში
ჰარალი ჰარი ჰარალო და

№ 50 წმინდაო ღმერთო

წმინდაო ღმერთო
წმინდაო ძლიერო
წმინდაო უკვდავო
შეგვიწყალე ჩვენ

უფალო ძლიერო
წმინდაო ძლიერო
წმინდაო უკვდავო
შეგვიწყალე ჩვენ

№ 51 მიყვარხარ მაგ ღიმილს მოგტაცებ

მიყვარხარ მაგ ღიმილს მოგტაცებ
და ღუმილს თანხმობად ჩაგითვლი
ქალაუ მე ჩემად მეგულვი

შენ სავალ ბილიკთან დაგიცდი 2–ჯერ

თეთრ ცხენზე შავ ნაბად მოსხმული
ფიქრებშიც შენს გვერდით ვიქნები
მოდით გეძახის გული და
მოდით გეძახის ფიქრები 2–ჯერ

მის: ჩამიკრავ გულში და გაგიმხელ
ჩემს დარდებს შენს გულის ჭირიმე
თუ როგორ ვიცხოვრე უშენოდ

თუ როგორ ვებრძოდი ტკივილებს 2–ჯერ

როდესაც იცდი ვინ მოგძებნის
შენს სურვილს ბეცაში აიტანს
მიყვარხარ მაგ ღიმილს მოგტაცებ
ცხოვრება დავინწყოთ თავიდან 2–ჯერ

წაგიყვან დავლახოთ მთები და
ნაბვავარს ვახაროთ იები
აღიონს ორ წყალზე შევხდებით

ცისკარზე დავთვალთ მთიები 2–ჯერ

სანვიმარ ღრუბლებსაც გადავყრი

მაგ შენი ოცნების ბეციდან

მწყურიხარ როგორაც მთის წყარო

ნაჩქეფი მაღალი მთებიდან 2–ჯერ

№ 52 შაირები მინდორში

მინდორში ბალახ–ბულახში
ამოსულიყო იაო
საღამოს შენთან გადმოვალ
კარი დატოვე ღიაო

მისამღერი: დარი ღური დარი ღური
დარი დარალე
დარი ღური დარი ღური
დარი დარალე
დარი ღური დარი ღური
დარი დარალე
შენ გენაცვალეო **2–ჯერ**

სად წაგიყვანო ქალაო
რომელი მხარე სჯობია
აბასთუმანი ბაჰმარო
თბილისი ყველას სჯობია

მისამღერი:

№53 ქალო ნარინჯიანო

ქალო ნარინჯიანო ჩითის კაბა გაცვია
დელა ოვდელადა ნანინა და
ეგ სინაბე სიტურფე სილამაბეს განიჭებს
დელა ოვდელადა ნანინა და
მის: დივ დილაავო დილაავო
დილაავო დილაავო დილა
დელი ოვდელიოდელადა
დელა ოვდილადა ნანინა და

ტანი გიგავს ლერნამსა წელზე დარა გარტყია
დელა ოვდელადა ნანინა და
მინდა შენთან მოვიდე შენი კოცნა მნადია
დელა ოვდელადა ნანინა და
მის: დივ დილაავო დილაავო
დილაავო დილაავო დილა
დელი ოვდელიოდელადა
დელა ოვდილადა ნანინა და

მაგ თვალების ეშხითა გულში ცეცხლი მინთია
დელა ოვდელადა ნანინა და
ქალო ნარინჯიანო ჩითის კაბა გაცვია
დელა ოვდელადა ნანინა და
მის: დივ დილაავო დილაავო
დილაავო დილაავო დილა
დელი ოვდელიოდელადა
დელა ოვდილადა ნანინა და

№54 შემოდგომა რომ დადგება

შემოდგომა რომ დადგება
შაშვი იწყებს გალობასო
კაცი რომ გაღარიბდება
ცოლს დაუნყებს ჯავრობასოდა **2–ჯერ**

ჯყინტი ყველის ჭამა მიყვარს
კბილის გაკრაჭუნებაო
კობტა გოგოს კოცნა მიყვარს
თვალის ჩაპაჭუნებაოდა **2–ჯერ**

ჩემი გული შენი გული
ჯაჭვით არის გადაბმული
და ზედ ოქროს ასოებით
ანერია სიყვარულიდა **2–ჯერ**

№55 იმერული ცხენოსნური

მის: ო რერო რერო რერო რერო რანიინა
აბადელი ორუდილა ნანი ნანიინა

ჩემი ცხენი თოხარიკი ქალს არ იჭენს ულამაზოს
აბა რერო რანიინა ორუდილა

მის: ო რერო რერო რერო რერო რანიინა
აბადელი ორუდილა ნანი ნანიინა

თუკი ქალი მოეწონა ბურგი უნდა შესთავაზოს
აბა რერო რანიინა ორუდილა

მის: ო რერო რერო რერო რერო რანიინა
აბადელი ორუდილა ნანი ნანიინა

ქალო რარიგად გიხდება აივანზე გადმოდგომა
აბა რერო რანიინა ორუდილა

მის: ო რერო რერო რერო რერო რანიინა
აბადელი ორუდილა ნანი ნანიინა

გამოგივლი და წაგიყვან როცა მოვა შემოდგომა
აბა რერო რანიინა ორუდილა

მის: ო რერო რერო რერო რერო რანიინა
აბადელი ორუდილა ნანი ნანიინა და

№ 56 ლაღე

ღაღე ღაღე
დივლიღაღა ღაღე
ჩემო ღამაზო სამშობლო
შენ კი გენაცვალე **2–ჯერ**

ღაღე ღაღე
დივლიღაღა ღაღე
ერთ ვარსკვლავში შენ შეგნიშნე
გოგოვ გენაცვალე **2–ჯერ**

ღაღე ღაღე
დივლიღაღა ღაღე
შენთვის ვღნები შენთვის ვკვდები
შენ კი გენაცვალე **2–ჯერ**

ღაღე ღაღე
დივლიღაღა ღაღე
ჩემო ღამაზო სამშობლო
შენ კი გენაცვალე **2–ჯერ**

№ 58 მჭედელის სიმღერა

დაჰკარ დაჰკარ დაჰკარ დაჰკარ
დღე და ღამე ლუკმა პურის შოვნაში შოვნაში
გვითენდება გვიღამდება შრომაში
დაჰკარ სანამ რკინა ცხელია
მუშა კაცის ბედი ძმაო ძნელია **2–ჯერ**

ეს ქვეყანა უსასრულოდ დიდია
განა მართლა მუქთახორა ფლიდია ფლიდია
შენ კი დაჰკარ რკინას ცხელია
მუშა კაცის ბედი ძმაო ძნელია **2–ჯერ**

დაჰკარ დაჰკარ დაჰკარ დაჰკარ
დღე და ღამე ლუკმა პურის შოვნაში შოვნაში
გვითენდება გვიღამდება შრომაში
დაჰკარ სანამ რკინა ცხელია
მუშა კაცის ბედი ძმაო ძნელია **2–ჯერ**

№ 60 აყვავებული არაგვზე დეკა

აყვავებული არაგვზე დეკა
ნისლი მოცურავს მთა–მთა
დარდი მასწავლე ფშავლის ასულო
ე მაგ თაფლისფერ თვალთა 2–ჯერ

ციხე გორობას მე სტუმრად მოვალ
არ გეოცები ნეტავ
შენთან ალერსი მწადიან ქალო
ყოფნა მწადია შენთან 2–ჯერ

და მერე თუნდაც ფშავლის ასულო
შენ ძმათ შემაჭრან ხმაღზე
ნეტავ ვიცოდე როგორ მიტირებ
გლოვის სევდიანხმაზე 2–ჯერ

ამდენ ბილიკებს მთებს და ჭიუხვებს
რაისთვის თელავ ნეტავ
მოდი ვიქნები შენი წაწალი
მთები დავლაშქროდ ერთად 2–ჯერ

აყვავებული არაგვზე დეკა
ნისლი მოცურავს მთა–მთა
დარდი მასწავლე ფშავლის ასულო
ე მაგ თაფლისფერ თვალთა 2–ჯერ

№ 61 ნუ გიკვირს ქალაუ

ნუ გიკვირს ქალაუ ჯერ შენ ხარ პატარა
ნუ გათხოვდები ლხინადა
ჯერ გაიზარდე გონთ მოდი ქალაუ
გირჩევნის დარჩე შინადა

მის: არ მინდა, წამიყვანე რა იქნება

თუ არადა ვიტყვებ

არ წაგიყვან არა შენ

ჯერ გაიზარდე გონთ მოდი ქალაუ

გირჩევნის დარჩე შინადა

2–ჯერ

რად არ გნამს ქალაუ რომ მე შენ მიყვარხარ
ნიადაგამც მეყვარები

ბედშავად შობილი ნიადაგ ვიქნები

გზად მარტო შენ შეგეყრები

მის: არ მინდა, წამიყვანე რა იქნება

თუ არადა ვიტყვებ

არ წაგიყვან არა შენ

ბედშავად შობილი ნიადაგ ვიქნები

გზად მარტო შენ შეგეყრები

2–ჯერ

ქალაუ გულს მწვავ ბერავად ნუ გამხდი

თუ შემეყორდი გულადა

შენც თუ გულს ჩახვალ მოგიტაც ქალაუ

თავად წაგიყვან შინადა

მის: არ მინდა, წამიყვანე შენ მიყვარხარ

თუ არადა სხვა არა თუ არადა სხვა არა

შენც თუ გულს ჩახვალ მოგიტაც ქალაუ

თავად წაგიყვან შინადა

2–ჯერ

№ 62 რაშოვდა

ღერწამისა ხესაო, ქორი მოჯდა წვერსაო
ქორი მოჯდა წვერსაო, ქალი მიქნევს ხელსაო
ქალი მიქნევს ხელსაო, აქ ჩამოდი ჩვენსაო
ხაჭაპურსაც გამოგიცხობ, ცარიელსა ქერქსაო
ვარიასაც ქვე დაგიკლავ, ცარიელსა ძვლებსაო
ღვინოსაც დაგაღვევინებ, ცარიელსა მთხლესაო
ჰო

რაშოვდა დელი ვოდელი ვოდელა რაშოვდა
რაშოვდა ჩამოვიარე სევაო რაშოვდა
რაშოვდა გვერდზე დავინწყე რწევაო რაშოვდა
რაშოვდა გოგონები იძახიან რაშოვდა
რაშოვდა ნეტა ვის სახლში შევაო რაშოვდა
რაშოვდა ჩამოვიარე ურავში რაშოვდა
რაშოვდა გოგონა იწვა ხულაში რაშოვდა
რაშოვდა მივეპარე და ვაკოცე რაშოვდა
რაშოვდა გადავიგრიხე ულვაში რაშოვდა
რაშოვდა ჩამოვიარე ფარახეთს რაშოვდა
რაშოვდა მამასახლისი გალახეს რაშოვდა
რაშოვდა გასაშველებლად მივედი რაშოვდა
რაშოვდა ერთი ორი მეც მომარტყეს რაშოვდა
რაშოვდა დელი ვოდელი ვოდელა რაშოვდა
ჰე

№ 63 გოგოვ გოგოვ შავთვალა

გოგოვ გოგოვ შავთვალა ჰე ჰე
გოგოვ გოგოვ შავთვალა ჰე ჰე

მის: ლივლივ ქალო საყვარელო
ლიახვო ჩემო და ლიახვო ჰე
დეღიავ გოგონა და

ბიჭმა შემოგითვალა ჰე ჰე
ბიჭმა შემოგითვალა ჰე ჰე

მისამღერი:

ან მომეც ჩემი დანა ჰე ჰე
ან მომეც ჩემი დანა ჰე ჰე

მისამღერი:

ან გამომყევი თანა ჰე ჰე
ან გამომყევი თანა ჰე ჰე

მისამღერი:

№ 64 ანანურიდან

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
ანანურიდან მოგდევ ნისლივით
რომ აგირიო გმები სავალი
მწყერი მეგონე ფრთამოტეხილი
და ასე უცებ სად დამეკარგე **2–ჯერ**

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
ყანა და ყანა დაგედევნები
გიპოვნი სადმე დაღლილ–დაქანცულს
ციხე ვიყავი ქვითკირისა და
როგორ გამექეც როგორ გამტეხე **2–ჯერ**

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
გზაზედ არაგვზე ისევ მოდიან
ხოდაბუნები თავთუხებისა
შენი ტურები ისე ტკბილია
როგორც ბადაგი დადუღებისას **2–ჯერ**

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
მოდი გეძახი ათას წლის მერე
დამნაცვროს ელვამ შენი ტანისა
ვარდის ფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა **3–ჯერ**

№ 65 კირიალესა

კირიალესა სადავოი კირიალესა
კირიალესა სადავოი კირიალესა

ახალ ძამას მიგახვავა ღოროკოი თანუას
ენა ჟგვეში შვა ახალი დირელო მოგება

მის: სადავოი კირიალესა
სადავოი კირიალესა **2–ჯერ**

სკან ბაღასა სკანი ბაღი ტაივიში ეფშა

მისამღერი:

შიო ჩიტი გოფურიინი სუა კოფრა რაფუდას
შორს მიტინი კორუნსუდა აშო კორჭა
რაფუდას

მისამღერი:

ასე მეურ ვაღაშა აშ ვამართე წანაშა

მისამღერი:

№ 66 ალილო

ოცდა ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და
ო ჰო ჰოი ჰოი ალილო **2-ჯერ**

ეს რომ ეს რომ მწყემსებმა გაიგეს
მივიდნენ და თაყვანი სცეს მას
ო ჰო ჰოი ჰოი ალილო **2-ჯერ**

ჩიტი ჩიტი ღობებზე შემოჭდა
გასძახოდა ქრისტეშობასო
ო ჰო ჰოი ჰოი ალილო **2-ჯერ**

ღმერთმა ღმერთმა ყველას მოგილოცოთ
შობა ახალ წელიწადიო
ო ჰო ჰოი ჰოი ალილო **2-ჯერ**

№ 67 დილაო ავდრიანაო

შენ ჩემო დიდო ტკივილო
დილაო ავდრიანაო
ძლივს აჩენილო ღიმილო
ღიმილო დარდიანაო **2–ჯერ**

შენ რომ ფიქრობდი არც აგრე
რომ ფიქრობ აგრეც არაო
ცეცხლი მოგედოს ქალთა მზე
მეც შენთან მაბრიალაო **2–ჯერ**

მე თუ არ მეტრფის დაინვას
თვალები ნალვლიანაო
შენ ჩემო დიდო ტკივილო
დილაო ავდრიანაო
ძლივს აჩენილო ღიმილო
ღიმილო დარდიანაო

შენ რომ ფიქრობდი არც აგრე
რომ ფიქრობ აგრეც არაო
ცეცხლი მოგედოს ქალთა მზე
მეც შენთან მაბრიალაო
შენ ჩემო დიდო ტკივილო
დილაო ავდრიანაო

№ 68 ბინდისფერია სოფელი

ბინდისფერია სოფელი
უფრო და უფრო ბინდდება
რა არის ჩვენი სიცოცხლე
ჩიტვიტვით გაგვიფრინდება

მის: რა არის ჩვენი სიცოცხლე
ჩიტვიტვით გაგვიფრინდება
ჩვენს ნასახლარზე ოდებლაც
ბალახი აბიბინდება **2–ჯერ**

იმასაც მოკლედ უვლია
ვის გრძლად ეგონა იარა
თოფს ჟანგი შეჭამს ჟანგს რკინა
კაცის გულს დარდი იარა

მის: მოვა სიკვდილი უჩინო
ერთ წამში აგვეყრის იარაღს
ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად
სხვას არა წაუღია რა **2–ჯერ**

ლექსო ამოგთქომ ოხერო
თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე

მის: მოსთქომდნენ ჩემებრ სწორები
ფანდურის ხმაზედ ჰყვებოდნენ
ქვეყანა მხიარულობდეს
და მე საფლავში ვწვებოდე
მოსთქომდნენ ჩემებრ სწორები
ფანდურის ხმაზედ ჰყვებოდნენ
სახლო არ დაინგრეოდე
ცოლო არ გასთხოვდებოდე

№ 69 გულის ტრფილი

რა ლამაზი ხარ ქალაუ
დალალებ გშვენის წელბედა
ქალავ წადიხარ ჩემს გულსა
ფიქრს ვერ ვიშორებ შენბედა **2–ჯერ**

ჩამავლიდე როკვითა
წყაროს პირს მარტოდ კოკითა
გნატრობ რომ ჩაგიხუტებდე
და აგავსებდე კოცნითა **2–ჯერ**

რად მემალეები მალ–მალ მე
გულს რად ამივსებ სევდითა
გამოჩნდი გამოანათე
ბუნება ხარობს შენითა **2–ჯერ**

მოგიტაცებდი ჩუმადა
და წაგიყვანდი შინაო
თუ ვინმე ცილობს შენს თავსა
მიყვარხარ თვალის ჩინაო
სხვისკენ ნურც გაიხედავდე
მე გეყოლები შინაო

№70 ვაჟკაცო მთაში გაბრდილო

ვაჟკაცო მთაში გაბრდილო
იალაღბედა
დაგშვენებია ქართული
ჩოხა ტანბედა

მის: ვეფხვივით შეინავარდე
მაღალ მთაბედა
დაგეფინება ყვავილი
გზა და კვალობედა

2–ჯერ

წყარობე ქალი ჩამოვა
მაყვალოთვალია
შეხედავ მოგენონება
მზისა დარია

მის: შემოგხედავს და დაგათრობს
გული დარია
გაუთამაშებ ვეფხვი ხარ
ნიავ–ქარია

2–ჯერ

ქალო მარგის აქა–იქუს
არ ედავები
შენ კი მორცხვობ ამ ჭაბუკსა
არ ეკარები

მის: გაუხსენი სიყვარულსა
გულის კარები
გაუქროლე და გაშალე
გლოლის მკლავები **2–ჯერ**

იხარეთ გაბაფხულისა
ტურფა იანო
ვაჟკაცო მართალ მაგარო
სახელიანო

მის: გაუგმირე ვის ამღბრდელი
ამაგიანო
იდიდე ჩემო სამშობლო
ნათელ მზიანო **2–ჯერ**

№ 71 შირაქის ველზე

შირაქის ველზე მოვდივარ
უკან მობრუნებს ქარიო
წინ შემეყარა პეპელა
წითლად უჩანდა მხარიო
საყვარლის კაბას ვამსგავსებ
ღმერთო დასწერე ჭვარიო

ჩვენს იქით დიდი ველია
ია და ვარდი ბევრია
შიგა მის ქალი ლამაზი
თავის თმისათვის ბნელია
თმას სავარცხელი რად უნდა
დალალა ოქროს ფერია

ნეტა ფრინველად მაქცია
შენსკენ გამოვყვე ნიავსა
მოვიდე ყელს მოვეხვიო
თვალგაუშლელსა იასა
არც არა შენ დაგიშავდეს
არც მე ჩავარდე გიანსა

№72 მზე შინა და მზე გარეთა

მზე შინა და მზე გარეთ	მზე შინ შემოდით
დღეს ვაჟი დაბადებულა	მზე შინ შემოდით
დღეს ვაჟი დაბადებულა	მზე შინ შემოდით
ვაჟის მამა შინ არ არის	მზე შინ შემოდით
ვაჟის მამა შინ არ არის	მზე შინ შემოდით
ქალაქს არის აკვნისთვინა	
	მზე შინ შემოდით
ქალაქს არის აკვნისთვინა	
	მზე შინ შემოდით
უყვივლია მამალსაო	მზე შინ შემოდით
უყვივლია მამალსაო	მზე შინ შემოდით
მზე შინა და მზე გარეთა	მზე შინ შემოდით
მზე შინა და მზე გარეთა	მზე შინ შემოდით